



სამართლებრო

აჯარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების

ბრძანება № 01-11/42

ქ. ბათუმი 16 თებერვალი 2021

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების
ხელშეწყობა“ ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და რიგი
პირობების განსაზღვრის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
სამინისტრო ახორციელებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებული
პროგრამის „უმაღლესი განათლება“ (კლასიფიკაციის კოდი: 0510), ქვეპროგრამას
„ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ (კლასიფიკაციის
კოდი: 051003).

შესაბამისად, მიზანშეწონილია ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო
მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში გამოცხადდეს კონკურსი და დამტკიცდეს:
საკონკურსო დებულება, საკონკურსო განცხადების ფორმა, საკონკურსო კომისია და
განისაზღვროს საკონკურსო განცხადებების სამინისტროში წარმოდგენის ვადა.


აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის
ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძის 2021 წლის 15 თებერვლის N111075 სამსახურებრივი ბარათისა
და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის დებულება (დანართი N1).
2. დამტკიცდეს ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში სამინისტროში წარმოსადგენი საკონკურსო განცხადების ფორმა (დანართი N2).
3. დამტკიცდეს ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში მოქმედი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა (დანართი N3).
4. ქვეპროგრამის „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ფარგლებში მოქმედი საკონკურსო კომისიის მდივნად განისაზღვროს სამინისტროს განათლების დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - მარინა პაქსაძე.

5. სამინისტროში საკონკურსო განცხადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2021 წლის 22 თებერვლიდან 31 მარტის ჩათვლით პერიოდი.
6. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№9), კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

მაია ხაჯიშვილი
მინისტრი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
პროგრამის „უმაღლესი განათლება“ ქვეპროგრამის
„ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“
(კლასიფიკაციის კოდი: 051003)
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

აღნიშნული დებულება არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებები ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გამოცხადებისა და ბენეფიციართა შერჩევის წესს.

მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო

1. კონკურსის სრულ ადმინისტრირებას ახორციელებს სამინისტრო.
2. სამინისტრო შეიმუშავებს და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:
 - ა) საკონკურსო განცხადების სამინისტროში წარდგენის ვადებს;
 - ბ) საკონკურსო განცხადების ფორმას;
 - გ) საკონკურსო კომისიის შემადგენლობას;
 - დ) საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეულ ბენეფიციართა სიას.

მუხლი 3. კონკურსის პირობები

1. „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება, ამ მუხლით დადგნილი პირობებით, გაცემა სტუდენტებზე, რომლებიც 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩაირიცხნენ და სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაუგრძელდებათ 2020 წელს ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულ ბენეფიციარებს, რომლებიც გააგრძელებენ 2020 წელს ხელშეკრულების გაფორმების პერიოდში არჩეული მიმართულებით სწავლას და გადალახავენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ აკადემიურ ბარიერს (81 % ან მეტი).
3. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაცემა სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. - „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ შემდეგ STEM

მიმართულებებზე (ამავე ბრძანების მე-2 და მე-4 მუხლებით დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით):

ა) 051 ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები;

ბ) 052 გარემო;

გ) 053 ფიზიკური მეცნიერებები;

დ) 054 მათემატიკა და სტატისტიკა;

ე) 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;

ვ) 071 ინჟინერია და საინჟინრო საქმე;

ზ) 073 არქიტექტურა და მშენებლობა.

4. ერთჯერადი ფინანსური დახმარება სტუდენტებზე გაიცემა სასწავლო წლის განმავლობაში ერთჯერ, 1000 ლარის ოდენობით.

5. სტუდენტი, რომელიც მოიპოვებს დაფინანსებას სამინისტროს „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში, არ აქვს „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება. აღნიშნული პირობის მიუხედავად სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადება დატოვებული იქნება განუხილველად.

6. „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტი თუკი პარალელურად დაფინანსებას მოიპოვებს „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამიდან, ის ვალდებულია გამოეთიშოს ერთ-ერთ ქვეპროგრამას სურვილის თანახმად. თუკი სტუდენტი აირჩევს „სტუდენტთა დახმარების“ ქვეპროგრამაში მონაწილეობას, ის ვალდებული იქნება დააბრუნოს ერთჯერადი ფინანსური დახმარების თანხის ნაწილი სემესტრის მიხედვით.

7. „ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ერთჯერადი ფინანსური დახმარება გადაეცემათ შემდეგი კატეგორიის სტუდენტებს:

ა) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთავან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების „მაღალმთავან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N671 დადგენილებით განსაზღვრულ სოფლებში) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

ბ) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

გ) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (სამი ან მეტი შვილი), რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომლის ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 100 000-ზე, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

- ე) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელიც არის მკეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- ვ) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელსაც ან რომლის მშობელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.
- ზ) პირველ საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს, რომელმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებით დასრულების დამადასტურებლად აიღო ვერცხლის/ოქროს მედალოსნის სერტიფიკატი/ატესტატი, რომელიც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 4. ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის წესი

1. დაინტერესებულმა პირებმა მოთხოვნილი დოკუმენტაცია სამინისტროში უნდა წარმოადგინონ დადგენილ ვადებში.
2. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრების ქულა საშუალო არითმეტიკულით იქნება 81% და მეტი.
3. აკადემიური მოსწრების გამოთვლა ხდება უნივერსიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტის საფუძველზე, საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით, მთელი სიზუსტის დამრგვალებით.
4. თუ ქვეპროგრამაში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა (შემდგომში - დასაფინანსებელი სტუდენტი), აღემატება ქვეპროგრამით გათვალისწინებულ დასაფინანსებელ სტუდენტთა საერთო რაოდენობას, თანხა გაიცემა სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების საშუალო არითმეტიკული ქულის, ან კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული საგნის, ან საგნების საშუალო არითმეტიკული ქულის საფუძველზე.
5. თუ ორ ან მეტ სტუდენტს აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად მიღებული აქვს თანაბარი საშუალო არითმეტიკული ქულა, თანხა გაიცემა - ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საკონკურსო ქულის საფუძველზე.
6. სამინისტრო თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შერჩეული ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

მუხლი 5. საკონკურსო განცხადების წარდგენა

1. სტუდენტმა კონკურსში მონაწილეობისთვის სამინისტროში კატეგორიაზე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით.
 - ა) ელექტრონული რეგისტრაცია - ელექტრონულ მისამართზე <https://bit.ly/3rvhB40>.
 - ბ) მატერიალური რეგისტრაცია - ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის ქ. N4, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

2. **სტუდენტმა - მაღალმთანი აჭარიდან:** (ქედა, შუახევი, ხულო, ასევე, „მაღალმთან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლები) - უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - დ) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;
 - ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
 - ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - თ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
 - ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
 - საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
 - ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.
3. **სტუდენტმა - ობოლი (დედით ან მამით, უდედმამო)** - უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) დაბადების მოწმობის ასლი;
 - დ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
 - ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
 - საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
 - ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.
4. **სტუდენტმა - მრავალშვილიანი ოჯახის წევრი (სამი, ან მეტი შვილი)** - უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) განმცხადებლისა და მისი და მმების დაბადების მოწმობების ასლები;
 - დ) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;

- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.
5. სტუდენტმა - სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან (მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული სარეიტინგო ქულა ტოლია, ან წაკლებია 100 000-ზე) - უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) დაბადების მოწმობის ასლი;
 - დ) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება რომ სტუდენტი ეკუთვნის სოციალურად დაუცველ ოჯახს (ცნობა გაცემული უნდა იყოს აღნიშნული პროგრამის სააპლიკაციო ვადის ფარგლებში);
 - ე) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
 - ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- თ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.
6. სტუდენტმა - მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა, უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა NIV-50/4) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
 - დ) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
 - ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
 - ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.
7. სტუდენტმა - რომლსაც, ან რომლის მშობელსაც მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
 - ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
 - გ) დაბადების მოწმობის ასლი;

- დ) შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოდან გაცემული სათანადო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება სტუდენტის, ან მისი მშობლის - მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი;
- ე) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
- ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
- ზ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- თ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.
8. სტუდენტმა, რომელიც არის ვერცხლის ან ოქროს მედალოსანი, უნდა წარმოადგინოს:
- ა) განცხადება;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებით დასრულების დამადასტურებელი ვერცხლის/ოქროს მედალოსნის სერტიფიკატის/ატესტატის ასლი;
- დ) ცნობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან (სკოლიდან) ბოლო ექვსი წლის განმავლობაში, მინიმუმ სამი სასწავლო წლის სრულად სწავლის შესახებ;
- ე) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ფაკულტეტის, სპეციალობის, ჩარიცხვის თარიღისა და კურსის შესახებ;
- ვ) ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის ბოლო სემესტრის აკადემიური მოსწრების შესახებ;
- საჭიროებიდან გამომდინარე, სამინისტროსგან დამატებით მოთხოვნის შემთხვევაში-
- ზ) ინფორმაცია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების შესახებ.

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

1. მინისტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს საკონკურსო კომისიის (შემდგომში - კომისია) შემადგენლობას.
2. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
3. კომისია განიხილავს კონკურსანტების განცხადებებს (საკონკურსო დოკუმენტაციას) და ავლენს დასაფინანსებელ ბენეფიციარებს.
4. გამარჯვებულ ბენეფიციართა სია (კონკურსის შედეგები) მტკიცდება მინისტრის ბრძანებით.
5. საკონკურსო განცხადების განხილვაში, შეფასებასა ან/და შერჩევაში დაუშვებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებულ პირთა მონაწილეობა.
6. ამ მუხლით გათვალისწინებული პირი შესაბამისი გარემოების არსებობის შემთხვევაში ვალდებულია, საკონკურსო კომისიასა და სამინისტროს აცნობოს ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ.

7. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საკონკურსო კომისიის წევრის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ სამინისტროსთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული კონკურსანტის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებამდე, კომისიის წევრის შეფასება ბათილად იქნება ცნობილი.
8. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
9. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
10. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ დამსწრე წევრები.

მუხლი 7. გამარჯვებულ ბენეფიციართან ხელშეკრულების გაფორმება და ბენეფიციარის მოვალეობები

1. გამარჯვებულ ბენეფიციართან ფორმდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ხელშეკრულება.
2. ბენეფიციარი ვალდებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიღებიდან არანაკლებ 2020 – 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი და 2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი ისწავლოს წინამდებარე დებულების მე-3 მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური მოსწრებით, რომელიც საშუალო არითმეტიკულით იქნება 81 % და მეტი. ბენეფიციარმა აღნიშნულის დასადასტურებლად სამინისტროში უნდა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული 2020 – 2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისა და 2021 – 2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასრულებისა და აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის შესახებ ინფორმაცია სტუდენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს სამინისტროს.
4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის ან/და მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი ვალდებულების ბენეფიციარის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბენეფიციარი ვალდებულია სამინისტროს მოთხოვნიდან 30 დღის ვადაში სრულად დააბრუნოს მიღებული თანხა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის

სახელი, გვარი -----

მისამართი: -----

ტელეფონი: -----

3/ნ

განცხადება

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩავირიცხე

(სასწავლებლის დასახელება, ფაკულტეტი, სპეციალობა).

საფეხური:

- საბაკალავრო

მივეკუთვნები „უმაღლესი განათლება“ პროგრამის „ტექნიკური და საბურნებისმეტყველო
მიმართულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის შემდეგ კატეგორიას/კატეგორიებს:

- სტუდენტი მაღალმთიანი აჭარიდან
- დედით, ან მამით ობოლი, უდედმამო
- მრავალშეილიანი ოჯახის წევრი: სამი ან მეტი შვილი
- სოციალურად დაუცველი: 100 000 ქულა ან ნაკლები
- მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
პირი
- სტუდენტი, რომელსაც, ან რომლის მშობელსაც მინიჭებული აქვს მარტოხელა მშობლის
(მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის) სტატუსი
- სტუდენტი - ვერცხლის ან ოქროს მედალოსანი

წარმოგიდგენთ „ტექნიკური და საბურნებისმეტყველო მიმართულებების ხელშეწყობა“
ქვეპროგრამაში მონაწილეობისათვის განსაზღვრულ დოკუმენტებს.

გაცნობებთ, რომ გავეცანი ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსის პირობებს და
ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.
ვეთანხმები, რომ სამინისტრო უფლობამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის
სიზუსტე და სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას აღნიშნული განცხადება კონკურსიდან.

თანახმა ვარ:

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ჩემი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი
ნომრის ბოლო 4 ციფრი, ფაკულტეტის, სპეციალობისა და უნივერსიტეტის დასახელება)
განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, კონკურსის გამარჯვებულთა გამოვლენის
შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუმეტეს 2 თვის ვადით.

□ არ ვარ თანახმა:

კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ჩემი პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომრის ბოლო 4 ციფრი, ფაკულტეტის, სპეციალობისა და უნივერსიტეტის დასახელება) განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ჩემთვის ცნობილია, რომ ჩემი პერსონალური მონაცემების განთავსებაზე თანხმობა, ან უარი არ ახდენს გავლენას საკონკურსო კომისიის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე და შესაბამისად, კონკურსის შედეგებზე.

გთხოვთ, ნება დამრთოთ მონაწილეობა მივიღო აღნიშნულ ქვეპროგრამაში.

ხელმოწერა